საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის თანამედროვე აქცენტები

თამარ ღამბაშიძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
E-mail: Imerieli@mail.ru
ნატალია ჭანტურია
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
E-mail: nataliawanturia@yahoo.com

რეზიუმე

საერთაშორისო კომპანიების უმრავლესობამ თავისი საქმიანობა დაიწყო ეროვნული ბაზრის ფარგლებში. ბაზრების ქვეყნის შეფარდებითი უპირატესობისა და კომპანიის კონკურენტული უპირატესობის გამოყენებით მათ გააფართოვეს ფუნქციონირების მასშტაბები საერთაშორისო ბაზრებზე. საერთაშორისო კომპანიების საქმიანობა მოიცავს სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს - პროდუქციის საზღვარგარეთ გატანიდან დაწყებული მიმდებ ქვეყანაში წარმოების ორგანიზაციის ჩათვლით.

ტნკ-ის საქმიანობა სხვადასხვანაირად აისახება როგორც დონორი, ისე რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკაზე. მათი გავლენის შეფასება ორივე კუთხით საკმაოდ რთულია და მაინც მეცნიერ-ეკონომისტთა შორის არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე, მაშინ: 1. როცა ამ ფირმების მიერ შემოტანილი ტექნოლოგია ანდა პროდუქცია არის მაღალდიფერენცირებული, 2. როცა ადგილობრივი რესურსები ხელმისაწვდომია ტნკ-სათვის, 3. როცა კაპიტალი ჩაიდება შედარებით უკეთ განვითარებულ ეკონომიკის მქონე ქვეყანაში.

რეციპიენტი ქვეყნების მთავრობები ცდილობენ თავიდან აიცილონ ტნკ-ის კონტროლი ეროვნულ ეკონომიკაზე. ამ მიზნით ისინი ახდენენ უცხოელთა ხელში არსებული რიგი დარგების ნაციონალიზაციას, (სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, სატრანსპორტო კომუნიკაციები, კომუნალური მეურნეობა დას ხვა), ტნკ-ის ფილიალების ხელმძღვანელობის ადგილობრივ სპეციალისტთა ხელში გადასვლას. ზოგიერთ მნიშვნელოვანი სფერო, ვთქვათ რადიო და ტელევიზია, საერთოდ დახურულია უცხოური ინვესტიციებისათვის. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობები ცდილობენ და მხარს უჭერენ კონკურენტუნარიანი ადგილობრივი ფირმების შექმნას, რათა თავიდან აიცილონ ამ სფეროებში უცხოელთა ბატონობა.

საკვანძო ტერმინები:
ტნკ – ტრანსნაციონალური კომპანია,
დედობილი (სათავო კომპანია),
ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი,
საქმიანობის დივერსიფიკაცია,
დონორი და რეციპიენტი ქვეყნები,
ექსტერიტორიულობა,
ეკონომიკური ექსპანსია,
კაპიტალდაბანდების სტიმულირება.

საერთაშორისო კომპანიების უმრავლესობამ თავისი საქმიანობა დაიწყო ეროვნული ბაზრის ფარგლებში. ბაზრების ქვეყნის შეფარდებითი უპირატესობისა და კომპანიის კონკურენტული უპირატესობის გამოყენებით მათ გააფართოვეს ფუნქციონირების მასშტაბები საერთაშორისო ბაზრებზე. საერთაშორისო კომპანიების საქმიანობა მოიცავს სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს - პროდუქციის საზღვარგარეთ გატანიდან დაწყებული მიმდებ ქვეყანაში წარმოების ორგანიზაციის ჩათვლით. ამდენად განვიხილავთ მათ საქმიანობას როგორც ცალკეულ ქვეყანათა, ისე მსოფლიო მეურნეობის კუთხით, ამავე დროს ჩამოვაყალიბებთ მათი მაღალეფექტიანი საქმიანობის მიზეზებს.

საერთაშორისო კორპორაციების საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც შემდეგი სამი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობას წარმოადგენს: უცხოური აქტივების წილი აქტივების მთლიან მოცულობაში; უცხოეთში განხორციელებული გაყიდვების წილი გაყიდვების მთლიან მოცულობაში; უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში. რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით უფრო დიდია უცხოური ფილიალების როლი ტნკ-ს საქმიანობაში.

ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის გაანგარიშება შემდეგი ფორმულით ხდება:

$I_{ტ} = 1/3\ (A_1/A + R_1/R + S_1/S) \times 100\%$ [16. გვ. 103].

სადაც $I_{ტ}$ – ტრანსნაციონალიზაციის ინ-

დექსია, %;

A_1 – საზღვარგარეთული აქტივები;

A – მთლიანი აქტივები;

R_1 – უცხოური ფილიალების მიერ საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მოცულობა;

R – საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მთლიანი მოცულობა;

S_1 – საზღვარგარეთული შტატი;

S – კომპანიის მუშაკთა მთლიანი შტატი.

ტნკ-ბის წარმატებული და ეფექტიანი სამეურნეო საქმიანობის მთავარი მიზეზია მათი ფინანსური კაპიტალის სამეცნიერო-კვლევით სფეროში ფართოდ ჩართვა. მათ მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები გააჩნიათ, რომელთა მეშვეობით ისინი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უმთავრეს მამოძრავებელ ძალებად გადაიქცნენ. ამ ტიპის სამუშაოებისათვის საერთაშორისო კომპანიები თავიანთი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავენ.

ტნკ-ბი მძლავრ ეკონომიკვურ პოტენციალს ქმნიან. ასე მაგალითად, საავტომობილო მრეწველობაში ხუთი უმსხვილესი ფირმის წილად მოდის მსოფლიო ავტომობილების გაყიდვათა 60%. ელექტრონიკის სფეროში ხუთი გიგანტი ფირმა გლობალური ბაზრის ნახევარზე მეტს აკონტროლებს. ხოლო ხუთი მსხვილი ფირმა საავიაციო და კოსმოსური ტექნიკის, ფოლადისა და ნავთობის, პერსონალური კომპიუტერების, ასევე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გაყიდვათა 90%-ზე მეტს ახორციელებს. ამიტომაც ყველა ამ დარგში ფასწარმოქმნა არ განიცდის კონკურენციის ზემოქმედებას.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა პროფილის ტნკ-ის (სამრეწველო, სავაჭრო და სხვა). ურთიერთშეთანხმება და გამსხვილება. ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს საბანკო-საფინანსო სფეროშიც. ერთმანეთს ერწყმის მძლავრი საბანკო კომპანიები, იქმნება ფასიანი ქაღალდების, სასესხო კაპიტალისა და ინვესტიციების ერთიანი ბაზარი. საბანკო სფეროში მონოპოლიზაციის ხარისხი საკმაოდ მაღალია. კერძოდ, ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარი 8 კომპანიის მიერ კონტროლდება, აქედან ექვსი ამერიკულია.

ტნკ-სათვის დამახასიათებელია სამეურნეო საქმიანობის უნიკალური ხასიათი. ამ ფორმების უახლესი ნაირსახეობაა სავაჭრო-სამრეწველო კომპანიები, მათ ახასიათებთ საწარმოო-კომერციული ოპერაციების უდიდესი მასშტაბები.

თანამედროვე ტნკ-ბი აქტიურად მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. საკუთარი კაპიტალით ისინი უმეტესწილად მეცნიერებატევად დარგებში წარმოების უდიდეს მასშტაბებს აღწევენ. ამ ფირმების საქმიანობა ძირითადად წარმოებისა და მომსახურების სფეროზე ვრცელდება. შედარებით მოკრძალებულია მათი როლი სოფლის მეურნეობაში.

ტნკ-ის რიცხვი საკმაოდ დიდია. მეცნიერ-ეკონომისტებისა და ექსპერტთა კვლევის ობიექტია ისეთი კომპანიები, რომლებიც წლიურად ერთი მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის საქონელსა და მომსახურებას აწარმოებენ. ისინი ფაქტიურად აწესებენ კონტროლს და ზღუდავენ კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე. ეს კომპანიები ესწრაფვიან საგარეო ეკონომიკურ ექსპანსიას და ცდილობენ მოქნილად აუარონ გვერდი ყოველგვარ შეზღუდვებს ეროვნული ეკონომიკის ინტერესების გაუთვალისწინებლადაც.

ტნკ-ბი დივერსიფიცირებულები არიან, დედობილი (ხშირად სათავო) კომპანია ახორციელებს უცხოეთში განლაგებული ფილიალების მართვას, სამეურნეო საქმიანობის კონტროლს, ანაწილებს რესურსებს და განსაზღვრავს ბაზრების საკითხს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მეცნიერ-ეკონომისტებს შორის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება ამ ფირმების საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებით სადისკუსიოა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე მათი გავლენის საკითხი. ხშირად გამოითქმება მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტნკ-ბი გარკვეულ პრობლემებს უქმნიან განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას და ხშირად განაპირობებენ ამ სახელმწიფოთა დაშლას. საკითხის ასე დასმა, ცხადია, არასწორია რიგი მიზეზების გამო.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ ამ ფირმების შემოსვლის თვით რეციპიენტი ქვეყნებია დაინტერესებული.

Ùეორე, სულ უფრო იკიდებს ფეხს მსოფლიო ბაზარზე ფირმები, რომელთა შტაბ-ბინა არ არის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ასეთი კომპანიები იქმნება თვით განვითარებად ქვეყნებში, განსაკუკთრებით კი ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში.

მესამე, ეს ფირმებია მოქნილად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს. განვითარებადი ქვეყნებიდან ტნკ-ბი ყალიბდებიან მდიდარი ბუნებრივი რესურსების (ნავთობი) მქონე ქვეყნებში, ასევე შრომითი რესურსებით მდიდარ ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში (აზიის ე.წ. „ოთხი პატარა დრაკონი“, ამ რეგიონის მეორე და მესამე

თაობის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები) და ფართო შიდა ბაზრის მქონე ახალი ინდუსტრიულ ქვეყნებში სამხრეთ ამერიკაში. (ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა). აღსანიშნავია, რომ განვითარებადი ქვეყნები აღნიშნული ქვეყნების ტნკ-ებს გაცილებით უფრო კეთილგანწყობილად ღებულობენ, ვიდრე მაღალგანვითარებული ქვეყნების ანალოგიურ ფირმებს.

როდესაც საკითხი ისმის ტნკ-ის როლისა და მნიშვნელობის შესახებ მსოფლიო მეურნეობაში, საჭიროა მოხდეს მათი სამეურნეო საქმიანობის შეფასება როგორც ცალკეულ ქვეყანათა, ისე მსოფლიო მეურნეობის კუთხით.

ქვეყანაში შემოსული ფირმა ზოგადად უნდა აკმაყოფილებდეს ცალკეული ჯგუფების, კერძოდ აქციების მფლობელთან სამუშაო ძალის, მომხმარებელთა და ზოგადად საზოგადოების ინტერესებს. სწორედ ამის გათვალისწინებით შეიძლება ფირმა დამკვიდრდეს ქვეყანაში. აქციათა მფლობელების ინტერესთა სფეროში შედის გაყიდვათა მოცულობის ზრდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში იღებენ ისინი მეტ მოგებას, დაქირავებული მუშახელის მიზანია ხელფასის ზრდა, მომხმარებლის მიზანი და მისწრაფება კი არის ფასების შემცირება, ხოლო საზოგადოება ტნკ-ის შემოსავლების ზრდის პირობებში ადიდებს გადასახადებს, რის შედეგადაც იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები და ეს ფირმები ირიბად მონაწილეობენ სოციალური პრობლემების მოგვარებაში.

ერთდროულად ყველა ამ ინტერესთა დაკმაყოფილება შეუძლებელია. განსაკუთრებით ძნელია ამ მიზნების მიღწევა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ტნკ-ები ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში ფუნქციონირებენ, რომელთა ეკონომიკური განვითარების დონე სხვადასხვაა და ამ შემთხვევაში სხვადასხვაა მხარის ინტერესთა თანხვედრა ხშირად გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. ეს ართულებს ამ ფირმების მენეჯერთა ამოცანებს, ვინაიდან ერთი ქვეყნის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები მაშინვე გამოხმაურებას პოვებს სხვა ქვეყნის ეკონომიკაში.

როცა საუბარია ტნკ-ის საქმიანობის როლსა და მნიშვნელობაზე მსოფლიო მეურნეობაში, უნდა გაირკვეს, რა დადებითი და უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია მას როგორც რეციპიენტი, ისე მეთაური ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისათვის. საკითხის ასე მარტივად დასმა საკმაოდ რთულია იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში შემოსული კომპანია ერთი მხარის ან ჯგუფის ინტერესების დაკმაყოფილებით შეიძლება მეორე ჯგუფის ინტერესებს დაუპირისპირდეს, ანდა ამ ფირმის საქმიანობა ერთდროულად ერთი ქვეყნის ინტერესებისათვის იყოს პოზიტიური და მეორეს მიმართ ნეგატიური. ძნელი მისაღწევია ინტერესების თანხვედრა ქვეყნის შიგნითაც, ვთქვათ მოხერხდა დასაქმების უზრუნველყოფა, ეს უარყოფითად შეიძლება აისახოს ხელისუფლების მისწრაფებაზე საკუთარი ძალებით აკონტროლოს ეროვნული ეკონომიკა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამ კომპანიების მოღვაწეობის შესახებ ეკონომისტების შეხედულებები არაერთგვაროვანია. ზოგიერთის მოსაზრებით ერთი მხარის მოგება აუცილებლად ნიშნავს მეორე მხარის წაგებას. მეორენი თვლიან რომ ყოველთვის მოგებულია ტნკ-ბი და ეროვნული ეკონომიკები ყოველთვის ზარალდება. ერთი რამ ცხადიან ამ სფეროში კომპრომისები გარდაუვალია.

იკვეთება ორი ტენდენცია: ამ ფირმების ფუნქციონირების მომხრენი, რომლებიც მათ საქმიანობაში ბევრ დადებით მომენტს ხედავენ (დასაქმების დონის, ექსპორტის და საგადასახადო შემოსავლების ზრდა) და მოწინააღმდეგენი, რომლებიც მათ რიგ ნეგატიურ შედეგებს მიაწერენ. (უთანასწორობა შემოსავლების განაწილებაში, გარემოს დაბინძურება, რეციპიენტი ქვეყნებისათვის სოციალური უფლებების ჩამორთმევა).

ტნკ-ბი ეკონომიკურ ზემოქმედებას ახდენენ ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე, კერძოდ, სავაჭრო და საინვესტიციო ოპერაციების კუთხით. აქ იგულისხმება უცხოური კაპიტალის მოდინება, რომელიც საქონლისა და ინვესტიციების გადიდების პარალელურად ხდება.

ტნკ-ის გავლენა საგადამხდელო ბალანსზე, რაც ძირითადად უცხოური ინვესტიციების გავლენის ფორმით გვევლინება, ასე შეიძლება შეფასდეს:

$$B = m + x + c - (m_1 + x_1 + c_1)$$

სადაც B არის კაპიტალის გავლენა საგადამხდელო ბალანსზე, m-იმპორტის ჩანაცვლება, m_1-იმპორტის მასტიმულირებელი ფაქტორი, x-ექსპორტის მასტიმულირებელი ფაქტორი, x_1-ექსპორტის შემცირების მაჩვენებელი, c-კაპიტალის მოდინება სხვადასხვა საჭიროებისათვის, იმპორტის და ექსპორტის გადახდის გარდა, c_1-კაპიტალის გადინება, რომელიც არ უკავშირდება ექსპორტის და იმპორტის გადახდებს.

მოყვანილი ფორმულა შეიძლება გამოყენებული იქნას საგადამხდელო ბალანსზე უცხოური ინვესტიციების გავლენის საერთო შეფასებისათვის, თუმცა აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან ჯერ ერთი, უცხოური ინვესტიციების

მოძრაობამ შეიძლება ირიბი ზეგავლენა მოახდინოს საგადამხდელო ბალანსზე, თანაც ასეთი გავლენის რაოდენობრივი გაზომვა ძნელია. მიუხედავად ყოველივე ზემოთაღნიშნულისა, არსებობს ერთიანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ საწყის ეტაპზე უცხოური ინვესტიციები სასიკეთოა რეციპიენტი ქვეყნისათვის და არახელსაყრელია დონორი ქვეყნისათვის. გარკვეული დროის შემდეგ სიტუაცია საპირისპიროდ იცვლება. ეს ხდება იმიტომ, რომ ნებისმიერი ინვესტორი აბანდებს საკუთარ კაპიტალს სხვა ქვეყნის ეკონომიკაში რათა მიიღოს გაცილებით მეტი მოგება, ვიდრე ამას საკუთარ ქვეყანაში დაბანდებული იგივე კაპიტალი მოუტანდა.

დონორი და რეციპიენტი ქვეყნები თავიანთ პოლიტიკას წარმართავენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი ეფექტის მიღებაზე. დონორი ქვეყნები ხსნიან თავიანთ შეზღუდვებს კაპიტალის მოძრაობაზე, რეციპიენტები ცდილობენ შემოსავლების რეპატრიაციას, აკონტროლებენ ინოვაციური საკუთრების ღირებულებას.

ყველა ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს გრძელვადიანი კაპიტალი, როგორც წარმოების განვითარების საფუძველი. ეს კაპიტალი გამოიყენება ან იმპორტის ჩანაცვლებისათვის, ანდა ექსპორტის წარმოებისათვის. ეს განსაკუთრებით იგრძნობა განვითარებად ქვეყნებში. ისინი ცდილობენ ადგილებზე განათავსონ წარმოება, რათა შეამცირონ ტრადიციული საქონლის-სასოფლო სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის ექსპორტი. ამ შემთხვევაში ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანია უცხოური კაპიტალის მაქსიმალური უკუგებით გამოყენების საკითხი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ამ ინვესტიციების გავლენა საგადამხდელო ბალანსზე.

ტნკ-ბი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ არა მარტო რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე და რესურსების გამოყენებაზე, არამედ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაზეც. მაღალგანვითარებული ქვეყნების პროფკავშირების შეფასებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დონორი ქვეყნებიდან ნიშნავს სამუშაო ადგილების ექსპორტს. ამიტომ წარმოებისათვის ამ მნიშვნელოვანი ფაქტორების გადინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მწვავე კრიტიკის საგანია დონორ ქვეყნებში. მათი აზრით საზღვარგარეთ ხშირად იწარმოება ის, რაც ქვეყნის შიგნითაც შეიძლებოდა წარმოებულიყო. ხშირად ტნკ-ის მიერ ტექნიკისა და ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების დანერგვა ხდება სწორედ უცხოეთში და არა - საკუთარ ქვეყანაში.

რეციპიენტი ქვეყნები ტნკ-ის მოქმედებით მოგებულნი დარჩებიან იმ შემთხვევაში, თუ, ეფექტიანად გამოიყენებენ წარმოების ფაქტორებს, ბრუნვაში ჩართავენ გამოუყენებელ რესურსებს და აამაღლებენ რესურსების გამოყენების ხარისხს. ამ ფირმების მიერ რეციპიენტ ქვეყანაში რესურსების მოდინებამ შეიძლება ბიძგი მისცეს ეკონომიკურ განვითარებას სხვა ქვეყანაში წარმოების ფაქტორების ოპტიმალურ შესაბამის შემთხვევაში, ასევე გამოუყენებელი რესურსების ბრუნვაში ჩართვით, ანდა მათი ხარისხის გაუმჯობესებით. ხშირ შემთხვევაში ტნკ-ის მიერ რეციპიენტ ქვეყანაში გაცემული რესურსებია კაპიტალი და ტექნოლოგიები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ უცხოური ინვესტირების პროცესში.

მართალია ტნკ-ს შეუძლიათ აამოქმედონ გამოუყენებელი რესურსები, მაგრამ მარტო რესურების არსებობა არა საწრმოების გარანტი. საჭიროა გასაღების ბაზრისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების პრობლემების მოგვარება განვითარებად ქვეყნებს გასაღების ბაზრის პრობლემების მოგვარების გამოცდილება არა აქვთ. არსებული რესურსების გამოყენების ხარისხი შეიძლება ამაღლდეს უცხოური ფირმების მიერ ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებით, რაც საჭიროა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების მომსახურებისათვის.

ხშირ შემთხვევაში ტნკ-ბი კაპიტალს აბანდებენ რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკაში, თუმცა ეს დაბანდებები შეიძლებოდა ადგილობრივ ფირმებსაც განეხორციელებინათ. ამ დროს ეროვნული წარმოების შევიწროვება ხდება უცხოური კაპიტალის მიერ. ადგილობრივი მეწარმეების შევიწროვება ხდება შიდა ბაზარზე. რეციპიენტი ფირმები აგებენ იმ შემთხვევაში, თუ ტნკ-ბი: ჩაანაცვლებენ ადგილობრივ ფირმებს, მათი ინვესტიციების ათვისებაზე მოდის საუკეთესო რესურსები. ხშირად ეს ფირმები ანგრევენ მეწარმეობას რეციპიენტ ქვეყანაში. ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებით უცხოური ინვესტიციები ამცირებენ ადგილობრივი მეწარმეობის განვითარების სტიმულებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ეროვნული მეურნეობის განვითარებაზე. წვრილი ფირმები ადვილად მარცხდებიან უცხოურ ფირმებთან კონკურენციულ გარემოში და ეს ქვეყანაში ამკვიდრებს მოსაზრებას, რომ ამ ფირმებთან ბრძოლას ყველა აგებს. აქვე ფიქსირდება საპირისპირო აზრიც: ადგილობრივი ფირმები უცხოურისაგან გადაიღებენ მოწინავე ტექნიკა-ტექნოლოგიას, ამიტომ ნებისმიერ ქვეყანაში ადგილი აქვს ადგილობრივი მეწარმეობის წარმატებას.

და ბოლოს, ტნკ-ის კრიტიკოსები აღნიშნავენ,

რომ ისინი ნოქავენ ადგილობრივ კაპიტალს. მართალია, ტნკ-ბი ადგილობრივ ფინანსურ ბაზრებზე იღებენ მსხვილ სესხებს და იყენებენ კაპიტალური დაბანდებების სტიმულირებით მიღებულ მოგებას, გაურკვეველი რჩება ამ ფაქტორის კავშირი ადგილობრივი ფირმების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის უნართან. იმისათვის, რომ გაირკვეს ტნკ-ის გავლენა ადგილობრივი ფირმების ფინანსურ უზრუნველყოფაზე, საჭიროა უცხოური ფირმების ხელთ არსებული სახსრები აჭარბებდეს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის ტევდაობას, რაც ნაკლებსავარაუდოა.

ტნკ-ის საქმიანობა სხვადასხვანაირად აისახება როგორც დონორი, ისე რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკაზე. მათი გავლენის შეფასება ორივე კუთხით საკმაოდ რთულია და მაინც მეცნიერ-ეკონომისტთა შორის ÐàáÔÑÝÑá მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე, მაშინ: 1. როცა ამ ფირმების მიერ შემოტანილი ტექნოლოგია ანდა პროდუქცია არის მაღალდიფერენცირებული, 2. როცა ადგილობრივი რესურსები ხელმისაწვდომია ტნკ-სათვის 3. როცა კაპიტალი ჩაიდება შედარებით უკეთ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში.

არაერთგვაროვანია ასევე ტნკ-ბის საქმიანობისადმი მოსაზრებებიც პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისითაც. უზარმაზარი მასშტაბების გამო ამ ფირმებმა შეიძლება შელახონ რეციპიენტი ქვეყნის სუვერენიტეტი. საქმე იÛÐèØÐ, რომ ისინი დამოუკიდებელნი არიან როგორც დონორი, ისე რეციპიენტ ქვეყნებთან მიმართებაში, რაც აძნელებს ცალკეული ქვეყნებისათვის საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებას. მხედველობაშია მისაღები ექსტერიტორიულობის პრობლემაც. ექსტერიტორიულობას მაშინ აქვს ადგილი, როცა სახელმწიფო თავის კანონებს ავრცელებს საზღვარგარეთ ფუნქციონირებად თავის ფირმებზე.

ექსტერიტორიულობა შეიძლება აღმოჩნდეს სამართლებრივი დაპირისპირების შედეგი ნებისმიერ ორ ქვეყანას შორის. ყველაზე მეტი კრიტიკის ობიექტი ამ თვალსაზრისით არის აშშ. ეს განპირობებულია იმით, რომ ამერიკული ფირმები ყველაზე მეტად და სხვებზე ხშირად პირდაპირი ინვესტირნებით იძენენ ქონებას საზღვარგარეთ და ცხადია ქვეყნის ხელისუფლება სხვებზე მეტად ავლენს სურვილს აკონტროლოს ამერიკული ფირმების საქმიანობა უცხოეთში.

ტნკ-ის მიმართ არის ასეთი მოსაზრებაც. ისინი ამყარებენ კონტროლს რეციპიენტი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაზე იქ წამყვანი პოზიციების დაკავებით. მათვე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებზე და დაშალონ ისინი. თუ კი ეს ძალები განახორციელებენ ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების კონტროლს, მაშინ ქვეყნის გარეთ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება უკიდურესად არასასურველი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე.

ცხადია, რეციპიენტი ქვეყნები ცდილობენ წინ აღუდგნენ მსგავს მოვლენებს. მათ შეუძლიათ მეტ-ნაკლებად აკონტროლონ ის ფირმები, რომელთა შტაბ-ბინაც მოცემულ ქვეყანაშია. გაცილებით ძნელია უცხოური ფირმების ფილიალების კონტროლი.

ხშირად ტნკ-ს დონორი ქვეყნები საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტებად იყენებენ. ეს ფირმები იმდენად დიდებია, რომ მათ შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ ადგილობრივ პოლიტიკოსებზე. ზოგჯერ ტნკ-ბი თავისი ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური აგენტების როლში გამოდიან. მსგავსი მოვლენები ფიქსირდება აშშ-შიც. ასე მაგალითად იაპონელებმა გაცილებით მეტი დახარჯეს წარმომადგენლობითი პალატისა და სენატის არჩევნების დროს, ვიდრე აშშ-ს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ ერთად.

რეციპიენტი ქვეყნების მთავრობები ცდილობენ თავიდან აიცილონ ტნკ-ის კონტროლი ეროვნულ ეკონომიკაზე. ამ მიზნით ისინი ახდენენ უცხოელთა ხელში არსებული რიგი დარგების ნაციონალიზაციას, (სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, სატრანსპორტო კომუნიკაციები, კომუნალური მეურნეობა დას ხვა), ტნკ-ის ფილიალების ხელმძღვანელობის ადგილობრივ სპეციალისტთა ხელში გადასვლას. ზოგიერთ მნიშვნელოვანი სფერო, ვთქვათ რადიო და ტელევიზია, საერთოდ დახურულია უცხოური ინვესტიციებისათვის. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობები ცდილობენ და მხარს უჭერენ კონკურენტუნარიანი ადგილობრივი ფირმების შექმნას, რათა თავიდან აიცილონ ამ სფეროებში უცხოელთა ბატონობა.

ტნკ-ის ხელმძღვანელობა ხშირად გარკვეულ გარიგებაზე მიდიან რეციპიენტი ქვეყნის ხელისუფლებასთან და ეს მექრთამეობის ანუ სახელმწიფო ჩინოვნიკებისადმი გარკვეული თანხის გადახდის საფასურად ხდება. ასეთი ქმედებები მიზნად ისახავს საწარმოების დაცვას კონკურენტებისაგან, მომსახურების ხელმისაწვდომობას ამ ქვეყანაში და უსაფრთხოებ-

ის უზრუნველყოფას. ქრთამი გაიცემა თავდაპირველად იმ ბიზნესის წარმოებისათვის, რომელიც შეიძლება არც დაწყებულიყო, ხშირად ტნკ-ბი მოიპოვებენ სახელმწიფო კონტრაქტებს. მომსახურების ხელმისაწვდომობა გულისხმობს პროდუქციის რეგისტრაციას, ნებართვას სამშენებლო სამუშაოებზე, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას და სხვა.

რეციპიენტ ქვეყანაში ტნკ-ის საქმიანობა უკავშირდება რიგ პრობლემებს, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნოლოგიების გადაცემისას დგინდება მაღალი ფასები, ხოლო შეზღუდვები ტექნოლოგიების გაყიდვაზე უზომოდ მკაცრია;

ბ) თუ კი რეციპიენტი ქვეყანა შეეცდება აკონტროლოს ან მკაცრად არეგულიროს ტნკ-ის მოქმედება, ისინი დატოვებენ მას და გადაადგილდებიან იქ, სადაც რეგულირების მექანიზმი შედარებით მსუბუქია;

გ) ტნკ-ის ძირითადი ფუნქციების ცენტრალიზაცია და კონტროლი მეთაური ქვეყნებიდან განამტკიცებს განვითარებადი ქვეყნების ნეოკოლონიურ დამოკიდებულებას;

დ) ტნკ-ბი განვითარებად ქვეყნებს სთავაზობენ ისეთ პროდუქციას, რომელიც არ პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს და განამტკიცებს კლასობრივ განსხვავებას;

ე) ეს ფირმები მოქნილად უვლიან გვერდს რეციპიენტი ქვეყნების მთავრობათა ანტიმონოპოლურ ბარიერებს და გაურბიან გადასახადების გადახდას. ისინი აწესებენ ხელოვნურ ტრანსფერტულ ფასებს და ამით ცდილობენ ხელი შეუშალონ ქვეყნებს მართონ თავიანთი ეკონომიკა;

ვ) ყველაზე საუკეთესო სამუშაო ადგილები გადაეცემა იმ ქვეყნის მოქალაქეებს, სადაც არის ტნკ-ის შტაბ-ბინა;

ზ) სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ეს ფირმები გადასცემენ მათი დონისათვის შეუფერებელ ტექნოლოგიებს;

თ) ვინაიდან ამ ფირმების საქმიანობა ატარებს გლობალურ ხასიათს, ისინი უგულვებელყოფენ ადგილობრივი მუშაკების ინტერესებს.

ყველა ქვეყანა ცდილობს გაადიდოს ტნკ-ის საქმიანობიდან საკუთარი მოგება. მოკლევადიან პერიოდში თითქმის ყველა ქვეყანა თანხმდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღებას. საგარეო ვალის პრობლემის განხილვა და ანალიზი ადასტურებს, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნები მათთვის საჭირო კაპიტალს ღებულობენ მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოდინებიდან. დადებითია უცხოური კაპიტალისადმი თვით მაღალგანვითარებული ქვეყნების დამოკიდებულება. აშშ-ს მთავრობას ბიუჯეტის დეფიციტი აიძულებს კეთილგანწყობილი იყოს ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების განთავსების საკითხისადმი. ასევე ევროკავშირი მიესალმება უცხოურ ინვესტიციებს თავის ეკონომიკაში ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

ტნკ-ის როლისა და მნიშვნელობის შესახებ საუბრისას აუცილებელია მათი სტრატეგიის საკითხის განხილვა. მის საილუსტრაციოდ დღეს მსოფლიოში ცნობილი კომპანის "ნესტლე" გამოდგება, რომელმაც მოახერხა საფასო და სასაქონლო დივერსიფიკაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფირმებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ფორმირებაში. განსაკუთრებით დიდია მათი უმსხვილესი ფინანსური კაპიტალის როლი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა მეოთხე თაობის ე.წ. გლობალური კომპანიები. ამ კომპანიების სტრატეგია გამოირჩევა ინოვაციური აგრესიულობითა და დინამიზმით, შიდაკორპორაციული სტრუქტურის გამუდმებული სრულყოფითა და მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მსხვილი პოზიციების ათვისებით. მეოთხე თაობის ტნკ-ის საქმიანობა ორიენტირებულია როგორც საკუთარ, ისე უცხო ქვეყნების მატერიალურ და შრომით რესურსებზე.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ტენდენციაა მომსახურების სფეროს წილის გადიდება. მიუხედავად გადამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილის შემცირებისა, ამ დარგს სრულყოფილად შეუძლია მატერიალური ფინანსური და ადამიანური რესურსების საფუძველზე მუდამ მზარდი მსოფლიო მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს პროცესი გლობალური ტნკ-ის მიერ კონტროლდება.

გლობალური ტნკ-ის საქმიანობის უმთავრესი სტრატეგია კაპიტალის გატანის სპეციფიკასთანაა დაკავშირებული. თითქმის საუკუნეა, კაპიტალის გატანა ქვეყნიდან საზღვარგარეთ წარმოების შექმნის გზით ხორციელდება. ამჟამად არა მარტო სწრაფად იზრდება ტნკ-ის სტრუქტურული ერთეულები, ამავდროულად ხდება დონორ და რეციპიენტ ქვეყნებს შორის წარმოების ორგანიზაციასა და ტექნოლოგიაში არსებული გარღვევების თანდათანობით დაძლევა. პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი წარმოების ადგილის მიუხედავად მსოფლიო სტანდარტებს უნდა პასუხობდეს. სწორედ ამიტომ ტნკ-ბი მეურნეობის ცალკეულ სფეროებში

მასალების ბაზრების თანდათანობით ათვისებით მსოფლიო ბაზრის მთლიანი სივრცის დაუფლებას ცდილობენ. ისინი უმაღლესი ტექნოლოგიის, თანამედროვე გამოვლითი ტექნიკისა და კომუნიკაციების უახლესი საშუალებების გამოყენებით ცოდნისა და „ადამიანური კაპიტალის“ გამოძებნას პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა კუთხეში ცდილობენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1.Чинченов М.В., Основы международного бизнеса: Организационные основы, инфраструктура, тактика и стратегия. КноРус, 2009.

2. Daniel J. International Business. N.U. 2008;

3. Griffin R., Pustay M. International Business: A Managerial Perspective. Reading, MA: Addison –Westey Publishing Co., 2004

4. Mendenham. G.Oddou. The Dimensions of Expatriation Dillema. Human Resource Planning 19. No 4(2009);

5. Shengelia T. Influence of Corruption on the development of Business Georgia // Murrey State University Review. 2007;

6. Erlich C. J. Human Resource Management: A Changing Seript

7. Мировая экономика и международный бизнес: учебник / кол. авторов; под общ. ред. д-ра экон. наук, проф. В.В. Полякова и д-ра экон. наук, проф. Р.К. Щенина. — 5-е изд.,

7. Холленсен С., Глобальный маркетинг., Пер. С англ. - Минск: Новое знание, 2004;

MODERN ACCENTS OF THE ACTIVITIES INTERNATIONAL ORGANIZATIONS

TAMAR GHAMBASHIDZE
Assoc. prof. of GTU
E-mail: Imerieli@mail.ru
NATALIA CHANTURIA
Assoc. prof. of GTU
E-mail: nataliawanturia@yahoo.com

Summary

The actions of multinational corporations are strongly supported by economic liberalism and free market system in a globalized international society. According to the economic realist view, individuals act in rational ways to maximize their self-interest and therefore, when individuals act rationally, markets are created and they function best in free market system where there is little government interference. As a result, international wealth is maximized with free exchange of goods and services.

To many economic liberals, multinational corporations are the vanguard of the liberal order. They are the embodiment par excellence of the liberal ideal of an interdependent world economy. They have taken the integration of national economies beyond trade and money to the internationalization of production. For the first time in history, production, marketing, and investment are being organized on a global scale rather than in terms of isolated national economies.

A transnational corporation differs from a traditional multinational corporation in that it does not identify itself with one national home. While traditional multinational corporations are national companies with foreign subsidiaries, transnational corporations spread out their operations in many countries to sustain high levels of local responsiveness.

An example of a transnational corporation is Nestlé who employ senior executives from many countries and try to make decisions from a global perspective rather than from one centralized headquarters

Anti-corporate advocates criticize multinational corporations for entering countries that have low human rights or environmental standards. In the world economy facilitated by multinational corporations, capital will increasingly be able to play workers, communities, and nations off against one another as they demand tax, regulation and wage concessions while threatening to move. In other words, increased mobility of multinational corporations benefit capital while workers and communities lose.